

## **ხშირად დასმული კითხვები**

**კითხვა:** ღონისძიება მიმდინარეობს მომავალი წლის თებერვლის შუა რიცხვებში. ამ ნაკადისთვის ოფიციალური მოწვევის წერილის მიღება ვერ მოხერხდა. იძლევა თუ არა სამეცნიერო ფონდი შესაძლებლობას, რომ განმცხადებელმა მონაწილეობა მიიღოს შემდეგ ნაკადში.

**პასუხი:** დიახ, სამეცნიერო ფონდი გაძლევთ ამის შესაძლებლობას. სამეცნიერო ფონდი შემდეგ მოკლევადიან ინდივიდუალურ სამოგზაურო საგრანტო კონკურსს გამოაცხადებს იმ საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად, რომლებიც დაგეგმილი იქნება მომავალი წლის 15 იანვრიდან 30 აპრილის ჩათვლით.

**კითხვა:** გახლავართ ინდივიდუალური სამოგზაურო გრანტების 2016 I ნაკადის გამარჯვებული, მაქვს თუ არა უფლება III ნაკადის კონკურსში მივიღო მონაწილეობა.

**პასუხი:** დიახ, შეგიძლიათ.

**კითხვა:** მიწვეული ვარ საერთაშორისო კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც ტარდება ინდოეთში მიმდინარე წლის ბოლოს. მაქვს კონფერენციის თავჯდომარის მიერ ხელმოწერილი მიწვევის წერილი, დაბეჭდილი ოფიციალურ ბლანკზე. აუცილებელია თუ არა, რომ ამ მიწვევის წერილს ერტყას ბეჭედი? ბლანკზე, ხომ მთელ მსოფლიოში ბეჭედს არ არტყავენ?

**პასუხი:** პერსონალური მოწვევა/ზეპირი ან სასტენდო მოხსენების მიღებისა და პერსონალური მოწვევის გაერთიანებული დოკუმენტი უნდა იყოს სატიტულო ფურცელზე, ხელმოწერილი/(ან) მომწვევი ორგანიზაციის მხრიდან დამოწმებული ბეჭდით, სამეცნიერო ღონისძიების ჩატარების თარიღების, ღონისძიების სახელწოდებისა და გამართვის ადგილის მითითებით. თუ, ეს დოკუმენტები (გარდა პროგრამისა) შედგენილია რომელიმე უცხო ენაზე, უნდა ითარგმნოს ქართულ ენაზე და დამოწმდეს თარჯიმნის/თარჯიმანთა ბიუროს ბეჭდით.

**კითხვა:** დანართი 5 ანუ კანცელარიაში ჩასაბარებელი განცხადება გარდა ჩემი ხელმოწერისა უნდა იყოს თუ არა დამოწმებული ოფიციალური ბეჭდით (ფაკულტეტის ან უნივერსიტეტის რექტორის)?

თუ საჭიროა ბეჭდით დამოწმება რომელმა სტრუქტურამ უნდა დაამოწმოს- ფაკულტეტმა თუ რექტორატმა?

**პასუხი:** ფონდის კანცელარიაში ჩასაბარებელი განცხადება უნდა დაამოწმდეს მხოლოდ თქვენი ხელმოწერით.

**კითხვა:** სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობა (უკანასკნელი 5 პროექტი) ბოლო 5 წლის თუ საერთოდ უკანასკნელი 5 პროექტი?

**პასუხი:** კონკურსის პროგრამა და მასში მონაწილეობის პირობების მე-6 მუხლის, თ-ე პუნქტის თანახმად, **საპროექტო წინადადებაში** უნდა მიუთითოთ მხოლოდ ის 3 ყველაზე მნიშვნელოვანი სამეცნიერო კვლევითი პროექტი, რომელიც დაიწყო კონკურსის გამოცხადების დღიდან ბოლო ხუთი წლის განმავლობაში და განმცხადებელი მონაწილეობდა/მონაწილეობს მასში როგორც ძირითადი

პერსონალი ან/და ხელმძღვანელი), ხოლო ავტობიოგრაფიაში უნდა მიუთითოთ სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობა, ზოგადად უკანასკნელი 5 პროექტი.

**კითხვა:** პროექტის თემატიკის შესაბამისი პუბლიკაციების ჩამონათვალი (მაქსიმუმ 5) ბოლო 5 წლის პუბლიკაციები თუ საერთოდ პროექტის თემატიკის შესაბამისი სხვადასხვა წლების პუბლიკაციები.

**პასუხი:** კონკურსის პროგრამა და მასში მონაწილეობის პირობების მე-6 მუხლის, ზ-ე პუნქტის თანახმად, საპროექტო წინადადებაში უნდა მიუთითოთ კონკურსის გამოცხადების დღიდან ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული მაქსიმუმ 3 ყველაზე მნიშვნელოვანი პუბლიკაცია, ხოლო ავტობიოგრაფიაში თემატიკის შესაბამისი პუბლიკაციების ჩამონათვალი.

**კითხვა:** საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში/კონფერენციებში მონაწილეობა (უკანასკნელი 5 ღონისძიება) ბოლო 5 წლის თუ უკანასკნელი 5 ღონისძიება.

**პასუხი:** უკანასკნელი ხუთი ღონისძიება.

**კითხვა:** სამოგზაურო გრანტის შეფასების კრიტერიუმებში წერია, რომ ფასდება კონფერენციის ჩამტარებელი ორგანიზაცია. გთხოვთ, იქნებ კონკრეტულად მომწეროთ, რა კრიტერიუმებით ფასდება და როგორ უნდა შევარჩიოთ?

**პასუხი:** ფასდება ღონისძიების მნიშვნელობა, ორგანიზატორის ავტორიტეტულობა, სტატუსი, მასშტაბი და აქტუალობა.

**კითხვა:** კონფერენციაზე წასასვლელი ბილეთი ჩემი ხარჯებით უკვე ნაყიდი მაქვს (ვინაიდან ესე უფრო იაფი არის). შესაძლებელია, თუ არა ფონდიდან მოვითხოვო ამ ხარჯის ანაზღაურება (ბუნებრივია ელექტრონული ბილეთის და ინვოისის წარდგენის შემდგომ)?

**პასუხი:** კონკურსის პროგრამა და მასში მონაწილეობის პირობების მე-5 მუხლი, ზ) პუნქტის „გ“, „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ხარჯები გაწეული უნდა იქნეს საკონკურსო კომისიის მიერ დასაფინანსებლად შერჩეულ პრეტენდენტთა გამოვლენისა და დამტკიცების შემდეგ.

იხილეთ „გ“, „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტები:

- გ) ტრანსპორტით (საკაერო, სახმელეთო, საზღვაო ტრანსპორტი დანიშნულების ადგილამდე; მხოლოდ ეკონომკლასის ბილეთი), ორმხრივი მგზავრობის ხარჯების ანაზღაურებას;
- დ) სადღეღამისო და საცხოვრებელი ფართის დაქირავების ხარჯების ანაზღაურებას,
- ე) სამოგზაურო დაზღვევის ხარჯებს;
- ვ) ვიზის ხარჯებს;

ერთადერთი, მონაწილეობის სარეგისტრაციო გადასახადი, თუ იგი გადახდილია ფონდის მიერ კონკურსის გამოცხადების შემდეგ, მისი ანაზღაურება ფონდის მხრიდან შესაძლებელია დაფინანსების მიღების შემთხვევაში.

**კითხვა:** საბოლოო მასალები მითითებული ელფოსტით იგზავნება, თუ როგორც ადრე იყო, უნდა ავტვირთოთ საიტზე?

**პასუხი:** საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად

თავდაპირველად გრანტის მაძიებელმა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ვებ-გვერდიდან - [www.rustaveli.org.ge](http://www.rustaveli.org.ge) - უნდა ჩამოტვირთოს საგრანტო კონკურსის სააპლიკაციო და ბიუჯეტის ფორმა, რომელსაც შეავსებს და სხვა დანართებთან ერთად ელ-ფოსტით გამოაგზავნის შემდეგ მისამართზე: [tg@rustaveli.org.ge](mailto:tg@rustaveli.org.ge).

გთხოვთ, იხელმძღვანელოთ პროექტის გამოგზავნის ინსტრუქციით, სადაც დეტალურად არის ასახული პროექტის გამოგზავნის საფეხურები.

**კითხვა:** პუბლიკაციების გარეკანი, სარჩევი და გვერდები - აუცილებელია, რომ იყოს ის პუბლიკაციები, რომელთაც მივუთითებთ განაცხადში, თუ ავტობიოგრაფიიდან სხვა პუბლიკაციების pdf ფაილი შეიძლება წარმოვადგინოთ ?

**პასუხი:** გადმოსაგზავნია იმ პუბლიკაციის ასლები, რომლებიც შერჩეული და მითითებული გაქვთ განცხადების ფორმაში, ქულის მინიჭების მიზნით.

**კითხვა:** მაინტერესებს, თუ ფონდი ასევე გამოყოფს თანხებს საერთაშორისო ასოციაციებში საწევრო გადასახადის დაფარვაზე.

**პასუხი:** სამეცნიერო ფონდი, არ აფინანსებს სამოგზაურო საგრანტო კონკურსის ფარგლებში საწევრო გადასახადს.

**კითხვა:** განაცხადის ფორმაში არსებულ ერთ-ერთ ველში - "სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობა" თუ ჩაითვლება ფონდის მიერ გასულ წელს ჩემზე დაფინანსებული ინდივიდუალური სამოგზაურო გრანტი?

**პასუხი:** სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობა უნდა იყო კვლევითი სახის. შესაბამისად, სამოგზაურო გრანტი არ გახლავთ კვლევითი პროექტი, რაც სამწუხაროდ ვერ ჩაგეთვლებათ პროექტში მონაწილეობად.

**კითხვა:** საგრანტო კონკურსის განაცხადში ქართველოლოგიური სამეცნიერო გამოცემების იმპაქტ-ფაქტორებს მითითება სავალდებულოა?

**პასუხი:** სასურველია, მიუთითოთ ქულის გაზრდის მიზნით.

**კითხვა:** ოფიციალური მოწვევის დოკუმენტში არ არის მითითებული ჩემი მოხსენების თარიღი, რადგან სამეცნიერო კონგრესის პროგრამა ჯერ საბოლოო სახით არ არის ჩამოყალიბებული. ამის გამო მოწვევის დოკუმენტი დაწუნებული ხომ არ იქნება?

**პასუხი:** მოწვევის დოკუმენტში უნდა მიეთითოს კონფერენციის ჩატარების თარიღები.

**კითხვა:** საგრანტო პროექტით თუ შეიძლება დაფინანსდეს სამეცნიერო კონგრესის ორგანიზატორების მიერ კონგრესის ფარგლებში გამართულ ექსკურსიებში მონაწილეობა? ექსკურსიებისთვის დამატებითი გადასახადია დაწესებული, რაც სარეგისტრაციო თანხაში არ შედის. ბიუჯეტის რომელ გრაფაში უნდა აისახოს ექსკურსიებისთვის განკუთვნილი თანხა, ღონისძიებაზე სარეგისტრაციო გადასახადში, თუ სადღეღამისო ხარჯებში?

**პასუხი:** ფონდი ვერ აგინაზღაურებთ ექსკურსიებისთვის დამატებით გადასახადს, შესაბამისად, შესაბამისი ხარჯვითი კატეგორია კონკურსს არ გააჩნია.

**კითხვა:** დიპლომის ატვირთული ასლი ნოტარიულად უნდა იყოს დამოწმებული?

**პასუხი:** არა, დიპლომი არ საჭიროებს ნოტარიულ დამოწმებას.

**კითხვა:** ვიზის და სამოგზაურო დაზღვევის საფასურის მოთხოვნის შემთხვევაში, რა სახის საბუთები გვაქვს წარმოსადგენი საკონკურსოდ? მხოლოდ ფასის მითითება საკმარისია?

**პასუხი:** მიუთითეთ ბიუჯეტში მხოლოდ ფასი.

**კითხვა:** ორი სამეცნიერო ღონისძიებიდან მოწვევის მქონე ერთსა და იმავე პირს შეუძლია თუ არა საკონკურსოდ წარმოადგინოს 2 პროექტი (ან ერთი, მაგრამ „კომბინირებულად“)?

**პასუხი:** თქვენ შეგიძლიათ წარსდგეთ ერთ ღონისძიებაზე ორი მოხსენებით, მაგრამ ორ სხვადასხვა ღონისძიებას ფონდი ვერ დაგიფინანსებთ სამოგზაურო საგრანტო კონკურსის პირობების თანახმად.

**კითხვა:** საბანკო ანგარიში იხსნება სპეციალურად კონკრეტული გრანტისთვის, თუ შეიძლება გამოყენებაში მყოფი საბანკო ანგარიშის წარმოდგენა?

**პასუხი:** დიახ, შესაძლებელია.

**კითხვა:** სასტუმროს ხარჯი შესაძლებელია ითვალისწინებდეს იმავე სასტუმროში კვების ხარჯს, თუ მხოლოდ საცხოვრებლის ხარჯის მოთხოვნის საშუალება გვაქვს?

**პასუხი:** სასტუმროს ხარჯი არ უნდა ითვალისწინებდეს სასტუმროს კვების ხარჯს.

**კითხვა:** რამდენია სადღეღამისო ხარჯის მოთხოვნის მაქსიმუმი?

**პასუხი:** იხელმძღვანელებთ 231 ბრძანებულებით. ყველა ქვეყანას აქვს ინდივიდუალური ნორმები.

**კითხვა:** გრანტის მოგების შემთხვევაში, ანგარიშსწორება უნაღდო სახით უნდა ვაწარმოოთ? უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, საკომისიოებს/მსგავს ხარჯებს/ როგორ ვფარავთ?

**პასუხი:** შეგიძლიათ ნაღდი ანგარიშსწორებითაც გაწიოთ ხარჯი, მთავარია, წარმოადგინოთ სრულყოფილი გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

**კითხვა:** როდესაც ფონდიდან ვითხოვ მხოლოდ თანხის ნაწილს (მაგ. ღონისძიების სარეგისტრაციო გადასახადს), ხოლო დანარჩენს თავად ვიფინანსებ (მაგ. სასტუმროს), ოღონდ პროექტის წარდგენისას ჯერ არ მექნება გადახდილი სასტუმროს თანხა, ასეთ შემთხვევაშიც, წერილი უნდა წარმოვადგინო, რომ მე ნამდვილად დავფარავ დანარჩენ ხარჯებს? თუ თვითდაფინანსებისას არაფერი საბუთი/წერილი არაა საჭირო, უბრალოდ ბიუჯეტის ფორმაში მივუთითებ რომ თავად ვაფინანსებ საკუთარ მგზავრობას? ჩაითვლება ეს არასრულყოფილად წარმოდგენილ დოკუმენტაციად?

**პასუხი:** თვითდაფინანსების შემთხვევაში, ავსებთ კომენტარის გრაფას და ბიუჯეტის მარჯვენა სვეტს.

**კითხვა:** ორგანიზატორის მისამართი: რა იგულისხმება? კონფერენციის ჩატარების ადგილის მისამართი? ანუ კონფერენცია ტარდება სასტუმროში? სასტუმროს მისამართი?

**პასუხი:** უნდა მიუთითოთ კონფერენციის ჩატარების ადგილის მისამართი.

**კითხვა:** ანგარიშგებაში მითითებული, რომ „სამოგზაურო გრანტის მიმღებმა ქვეყანაში დაბრუნებიდან 2 თვის ვადაში უნდა გააკეთოს პრეზენტაცია მოხსენებისა და კონფერენციის შესახებ ფონდის მიერ უზრუნველყოფილ საჯარო ღონისძიებაზე (საჯარო ლექციების/სემინარების სერიაში).“ **შეკითვა მდგომარეობს შემდეგში:** კონფერენციიდან დაბრუნების შემდგომ, მალევე დაახლოებით 2 კვირაში ვგეგმავ უცხოეთში გამგზავრებას 3 თვით. შესაძლებელია თუ არა ფონდთან შეთანხმებით ჩემი პრეზენტაცია კონფერენციიდან დაბრუნების შემდგომ საჯარო ღონისძიებების ფარგლებში მალევე დავნიშნოთ, ანუ ამ 2 კვირის ფარგლებში? რამდენად მოქნილი სისტემაა? მოხერხდება?

**პასუხი:** დიახ, შესაძლებელია.

**კითხვა:** ტრანსპორტირების ბილეთის ფასი, შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტით (ჯავშანი/ინვოისი) ერთი უნდა იყოს დაფიქსირებული, თუ რამდენიმე?

**პასუხი:** ტრანსპორტირების (მხოლოდ ეკონომკლასის ბილეთი) ორმხრივი მგზავრობის ხარჯების მიხედვით უნდა იყოს დაფიქსირებული მხოლოდ ერთი. რეკომენდაციაა, წარმოადგინოთ შემდეგისდაგვარად ნაკლებფასიანი ბილეთი.

**კითხვა:** მოწვევა საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციიდან რა ფორმის უნდა იყოს?

**პასუხი:** საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიების პროგრამაში განმცხადებლის მოხსენების მიღების/ჩასმის და მიწვევის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი უნდა იყოს სატიტულო ფურცელზე, ხელმოწერილი და შემდგომ ნათარგმნი ქართულ ენაზე და დამოწმებული თარჯიმნის/თარჯიმანთა ბიუროს ბეჭდით- დასკანირებული pdf ფორმატში.

**კითხვა:** როგორ ითვლება დღიური/სადღეღამისო ხარჯები? და აპლიკანტმა თვითონ უნდა ჩაწეროს თუ არა ბიუჯეტში?

**პასუხი:** სადღეღამისო და საცხოვრებელი ფართობის დაქირავების/სასტუმროს ხარჯების შედგენისას უნდა იხელმძღვანელოთ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის # 231 ბრძანებულებით „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“. ამ ხარჯვით კატეგორიას აპლიკანტი ავსებს დამოუკიდებლად ბიუჯეტის გრაფაში.

**კითხვა:** იმ შემთხვევაში თუ საკონფერენციო სარეგისტრაციო თანხა და სასტუმროს ღირებულება არის ერთ მთლიან პაკეტში, როგორ მოხდება ამის ანაზღაურება?

**პასუხი:** ამ შემთხვევაში, მოწვევაში აუცილებელია ხარჯვითი კატეგორიების დიფერენცირება. მომწვევ მხარეს სთხოვეთ, გამოგიგზავნოთ დოკუმენტი, სადაც მკაფიოდ იქნება გამიჯნული ხარჯვითი კატეგორიები.

**კითხვა:** ანაზღაურდება თუ არა, ვიზის მოსაკრებელი?

**პასუხი:** დიახ, ანაზღაურდება კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში. საჭირო იქნება შესაბამისი თანხის გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენა (გადახდის ქვითარი შემდეგი რეკვიზიტებით: სახელი, გვარი, თარიღი, თანხა, დანიშნულება).

**კითხვა:** გამოცემების შემთხვევაში მოთხოვნილია სატიტულო, პირველი და ბოლო გვერდი, არის შემთხვევები, როდესაც გამოცემის თარიღი და მაგ. ISBN, საავტორო უფლება და სხვ. მონაცემები არის არა სატიტულოზე, არამედ შემდეგ გვერდზე, საჭიროა თუ არა ამ გვერდის დამატება?

**პასუხი:** დიახ, სავალდებულოა.

**კითხვა:** ღონისძიების წინა, ან შემდგომი სემინარების ხანგრძლივობა რამდენი დღე შეიძლება იყოს? უნდა ეტეოდეს 7-8 დღეში მთლიანად?

**პასუხი:** სამოგზაურო გრანტი გაიცემა საერთაშორისო სამეცნიერო ან რეგიონულ ღონისძიებაზე ფაქტობრივად ყოფნის დღეების მიხედვით (სამეცნიერო ღონისძიების ჩატარების თარიღი მითითებული უნდა იყოს ოფიციალურ წყაროში/მოწვევაში), ასევე გამგზავრებისა და დაბრუნების დღეების ჩათვლით, არაუმეტეს 7 დამისა და 8 დღისა;

**კითხვა:** თუ ბილეთის ფასი არ იცვლება და ღონისძიების დასრულებიდან რამოდენიმე დღე თავისი ხარჯით რჩება, მაშინ ამის გამო ხომ არ დაბლოკავს კომისია?

**პასუხი:** ღონისძიების დასრულების შემდეგ, გრანტის მიმღებს შეუძლია გარკვეული პერიოდით დარჩეს ღონისძიების ადგილზე თვითდაფინანსებით.

**კითხვა:** ჩაითვლება თანადაფინანსებად თუ მაღალ ღირებულ სასტუმროში გაჩერდა ნორმაზე დამატებითი თანხა დღიურ სასტუმროს გადასახადში თანადაფინანსებად?

**პასუხი:** არ ჩაითვლება.

**კითხვა:** რა კვოტები არის მიმართულებების მიხედვით?

**პასუხი:** კვოტები მიმართულებების მიხედვით არ არის. შეიქმნება რანჟირებული სია კრიტერიუმების მიხედვით დაგროვილი ქულების შესაბამისად.

**კითხვა:** თუ არის პროგრამა ჩინურ, იაპონურ, ან სხვა უცხოურ ენებზე აუცილებელია, თუ არა ქართულ ენაზე თარგმნა? თუ საკმარისია ინგლისურად პროგრამის წარმოდგენა?

**პასუხი:** ღონისძიების პროგრამა თარგმნას არ საჭიროებს ქართულ ენაზე. საკმარისია, მისი ინგლისურად წარმოდგენა. როგორც წესი, ღონისძიების ვებ-გვერდზე არის შესაბამისი ინფორმაცია ხელმისაწვდომი ინგლისურ ენაზე.

**კითხვა:** როგორ ხდება სარეგისტრაციო გადასახადის ანაზღაურება.

**პასუხი:** თუ ღონისძიების სარეგისტრაციო გადასახადი გადახდილია ფონდის მიერ კონკურსის გამოცხადების დღიდან, ამ შემთხვევაში, ეს ხარჯი ანაზღაურდება კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში.

**კითხვა:** თუ მონაწილეობის სარეგისტრაციო გადასახადი, ბილეთის თანხა უკვე გადახდილია წინასწარ თანადაფინანსებლის/პირადად განმცხადებლის მიერ, სავალდებულოა თუ არა მისი ასახვა ბიუჯეტში?

**პასუხი:** დიახ, სავალდებულოა. გთხოვთ, მიუთითოთ თანადაფინანსებლის ველში.

**კითხვა:** ანაზღაურდება თუ არა აეროპორტიდან გამგზავრება საკონფერენციო ქალაქამდე და როგორ უნდა აისახოს ეს ბაზაში?

**პასუხი:** დანიშნულების ქალაქამდე ტრანსპორტირება, ანუ ერთი ქალაქიდან მეორე ქალაქში გადასვლა (მაგ. რკინიგზით, ავტობუსით) ანაზღაურდება, ოღონდ საჭიროა შესაბამისი დოკუმენტის/ინვოისის წარმოდგენა. შესაბამისად, ტრანსპორტირების ჯავშანი/ინვოისის დასკანირებული pdf ფაილი უნდა

ატვირთოთ ავიაბილეთების (ან, შესაბამისად, სხვა სატრანსპორტო საშუალებების) ჯავშანი/ინვოისის დასკანირებულ pdf ფაილებთან ერთად.

**კითხვა:** პუბლიკაციები უნდა ითარგმნოს თუ არა?

**პასუხი:** პუბლიკაციები არ უნდა ითარგმნოს.

**კითხვა:** რამდენად შესაძლებელია, ინდივიდუალურ სამოგზაურო გრანტებში თანადაფინანსების სახით გამოყენებული იქნას "ფუნდამენტური სამეცნიერო საგრანტო პროექტების" ფარგლებში გათვალისწინებული უცხოეთში მივლინების თანხები?

**პასუხი:** შესაძლებელია.

**კითხვა:** ვარ ბიოლოგიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი, თუმცა ამ ეტაპზე დროებით შეჩერებული მაქვს დოქტორანტის სტატუსი (რადგან ველოდებოდი პუბლიკაციის დაბეჭდვას იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალში). აღნიშნული პუბლიკაცია უკვე გამოქვეყნდა და დანამდვილებით ვიცი, რომ სექტემბერში უნდა აღვადგინო სტატუსი.

**ამ შემთხვევაში უნდა წარმოვადგინო თუ არა დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელი ცნობა?** (რომელშიც რა თქმ აუნდა მითითებული იქნებოდა რომ სტატუსი შეჩერებულია)

თავისთავად კითხვა გამიჩნდა იქედან გამომდინარე, რომ ღონისძიება რომელზეც ვაპირებ წასვლას ოქტომბერში იმართება და ამ დროისათვის დოქტორანტის სტატუსი აღდგენილი იქნება.

ამას გარდა ვარ თსუ, ბიოლოგიის დეპარტამენტის ლაბორატორიის თანამშრომელი და ასევე რა თქმა უნდა წარმოვადგენ ცნობას სამუშაო ადგილიდან.

**პასუხი:** წარმოადგინეთ ცნობა სამუშაო ადგილიდან და ცნობა დოქტორანტურაში სწავლის შესახებ. რამდენი ქულით შეფასდება თქვენი სტატუსი, ამას გასაზღვრავს კომისია.

**კითხვა:** სარეგისტრაციო გადასახადის გადახდის შემდეგ ხდება პროგრამაში ჩასმა. ე.ი. წინასწარ უნდა გადავიხადოთ და ამას ფონდი ანაზღაურებს? მოწვევა ხომ უკვე ნიშნავს პროგრამაში მონაწილეობას?

**პასუხი:** კონკურსის პროგრამა და მასში მონაწილეობის პირობების მე-5 მუხლი, ა) პუნქტის თანახმად - მონაწილეობის სარეგისტრაციო გადასახადს, თუ იგი გადახდილია ფონდის მიერ კონკურსის გამოცხადების შემდეგ, დაფინანსების შემთხვევაში მოხდება აღნიშნული ხარჯის ანაზღაურება (გთხოვთ, იხელმძღვანელოთ კონკურსის პროგრამითა და მასში მონაწილეობის პირობებით);

**კითხვა:** სამეცნიერო კვლევით პროექტებში მონაწილეობის (განიხილება მხოლოდ ის სამეცნიერო კვლევითი პროექტები, რომლებიც დაიწყო კონკურსის გამოცხადების დღიდან ბოლო ხუთი წლის განმავლობაში და განმცხადებელი მონაწილეობდა/მონაწილეობს მასში როგორც ძირითადი პერსონალი ან/და ხელმძღვანელის სტატუსით) დამადასტურებელი დოკუმენტი (დასკანირებული pdf ფორმატში). - რამდენი პროექტი შიძლება იყოს წარმოდგენილი? რა ტიპის დამადასტურებელი დოკუმენტებზეა საუბარი? შეიძლება ამ პროექტის შედეგის (ანუ პროდუქტის) დამადასტურებელი მასალის წარმოდგენა? უკვე განვლილი პროექტებიდან ხელშეკრულებების საბუთები არ მაქვს შენახული. ამასთან, ხელშეკრულება ხომ შეიძლება დადებულიყო და შედეგი არ განხორციელებულიყო?

**პასუხი:** განცხადების სამეცნიერო კვლევითი პროექტების ჩამონათვალში უნდა მიუთითოთ მიმდინარე კონკურსის გამოცხადების დღემდე, ბოლო 5 წლის განმავლობაში დაწყებული, მაქსიმუმ 3

სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობა . (აღნიშნული ინფორმაცია მითითებულია პროექტის განაცხადში). სავალდებულოა ხელშეკრულების, ბრძანების ან საგრანტო ორგანიზაციიდან ცნობის წარმოდგენა , რაც დაადასტურებს თქვენს მონაწილეობას პროექტში.

**კითხვა:** ამჟამად დოქტორანტის სტატუსი შეჩერებული მაქვს თანხის გადაუხდელობის გამო(თუმცა ყველა სასწავლო სავალდებულო კრედიტი მიღებული მაქვს და ვარ სადისერტაციო ნაშრომის გაფორმების პროცესში) და მაინტერესებს განაცხადის ფორმაში მაგისტრი მივუთითო, თუ დოქტორანტი?

**პასუხი:** შეგიძლიათ მიუთითოთ მაგისტრის ხარისხი და ატვირთოთ შესაბამისი ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი, ან წარმოადგინოთ ცნობა დოქტორანტურაში სწავლის შესახებ. რა ქულით შეფასდება თქვენი სტატუსი, ამას გადაწყვეტს კომისია.

**კითხვა:** კლასიფიკატორში არ არის მითითებული ქართველოლოგიის შემსწავლელ მეცნიერებათა კოდი. როგორ მივუთითოთ განცხადებაში პროექტის შიფრი?

ქართველოლოგია შეგიძლიათ მოიაზროთ როგორც ჰუმანიტარულ, ასევე საქართველოს შემსწავლელ მეცნიერებებში.

**კითხვა:** სადოქტორო დისერტაცია [283 გვერდი, A4] ელექტრონული გამოცემა სრული სახით განთავსებულია თსუ ოფიციალურ საიტზე, გარეკანზე თსუ გამომცემლობის მიერ დასმულია მისი ლოგო. ჩაითვლება თუ არა აღნიშნული დისერტაცია ადგილობრივი აკადემიური გამომცემლობის მიერ გამოცემულ მონოგრაფიად [რომელიც ფასდება 4 ქულით]? თუ ასეთად არ ჩაითვლება, მაშინ რამდენი ქულით შეიძლება იგი შეფასდეს?

**პასუხი:** არ ჩაითვლება.სადისერტაციო ნაშრომი არ მოაზრება სამეცნიერო პუბლიკაციად,

**კითხვა:** მე გახლავართ თსუ დოქტორანტი და ვაპირებ ინდივიდუალურ სამოგზაურო გრანტზე საბუთების შემოტანას. ამასთან დაკავშირებით ერთი კითხვა მექნება: ვირიცხები თსუ სადოქტორო პროგრამაში, თუმცა ამჟამად ვიმყოფები გერმანიაში კვლევითი სტიპენდიით და ამიტომ დოქტორანტის სტატუსი დროებით მაქვს შეჩერებული. ცნობა რომელიც შემიძლია წარვადგინო როგორც დოქტორანტმა მოიცავს ინფორმაციას სადოქტორო პროგრამაში ჩემ ჩარიცხვაზე და სტატუსის შეჩერებაზე. რა თქმა უნდა შემიძლია წარვადგინო არსებული სტიპენდიის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. რა შეიძლება კიდევ გაკეთდეს ამ შემთხვევაში?

**პასუხი:** შეგიძლიათ წარმოადგინოთ აღნიშნული საბუთები და ცნობა დოქტორანტურაში სწავლის შესახებ. თქვენი სტატუსის ქულას განსაზღვრავს კომისია.



